



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 ივნისი 2024



N 287/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. საგარეჯოში, შპს „ნექსარას“ სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ნექსარას“ (ს.კ 402040956) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 5 სექტემბერს (წერილი N8574) წარმოდგენილია ქ. საგარეჯოში, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N454/ს (11.09.2023)) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ.

2023 წელს შპს „ნექსარას“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. საგარეჯოში, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების (ჯამური მოცულობით 100658 მ³) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N14; ბრძანება N311/ს; 03.07.2023).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილები N21/10307 და N21/2517), შპს „ნექსარას“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილები N802 და N3946). კერძოდ: დაზუსტებული ინფორმაცია მდ. ივრიდან ასაღები წყლისა და ამოღების ჯერადობის (თვეების მითითებით) შესახებ, ასევე მდინარის ჰიდროლოგიაზე წყალაღებით გამოწვეული ზემოქმედების საკითხი, ობიექტების დაზუსტებული სამშენებლო ნახაზები, რეზერვუარის ძირის მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, წყლის ბაღებში გაშვებით ნიადაგის ეროზიის მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანებები N48/ს (29.01.2024) და N210/ს (22.04.2024)), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2023 წლის 31 ივლისს განხორციელდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, შპს „ნექსარას“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისათვის განკუთვნილი საპროექტო ტერიტორიის ინსპექტირება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპანიამ განახორციელა წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2023 წლის 31 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №082237 ოქმი, რომელიც დეპარტამენტის 2023 წლის 4 სექტემბრის №DES02300065077 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლოს 2023 წლის 19 ოქტომბრის №4/582-23 დადგენილებით, კომპანიას გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია არაქმედებისა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. კაკლის ბაღები, სარწყავი სისტემა და 4000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარი მოწყობილია და ფუნქციონირებს 2017 წლიდან, ამასთან საპროექტო ტერიტორიის (ს/კ: 55.12.69.000.179) ფართობი დამატებითი წყლის სამარაგო რეზერვუარისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობას იძლევა, შესაბამისად, უგულებელყოფილ იქნა ახალი ტერიტორიის ათვისების ალტერნატიული ვარიანტი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ნექსარას“ ქ. საგარეჯოში, დაახლოებით 73 ჰა ფართობის მქონე იჯარით გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 55.12.69.000.179; 55.12.69.000.180) გაშენებული აქვს კაკლის ბაღები, რომელიც უზრუნველყოფილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით. სამელიორაციო სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, ასევე იჯარით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.12.69.000.038), მოწყობილია 4000 მ³ მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარი (GPS კოორდინატებია: X-536737; Y-4605371; X-536757, Y-4605356; X-536740, Y-4605335; X-536720, Y-4605350), რომელიც მარაგდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხიდან (წყალაღების GPS კოორდინატებია: X-536545; Y-4605163).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დამატებით 20 ჰა ფართობის ტერიტორიაზე დაგეგმილია კაკლის ბაღების გაშენება, რისთვისაც მოხდება არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია და ს/კ: 55.12.69.000.179 მიწის ნაკვეთზე დამატებით 99531.18 მ³ მოცულობის წყლის შემაკავებელი ნაგებობის ექსპლუატაცია, რომლის მოწყობითი სამუშაოები ამ ეტაპზე დასრულებულია. რეზერვუარის ირგვლივ, დაახლოებით 8273 მ² ფართობზე ასევე მოეწყობა უკუყრილი. რეზერვუარისა და უკუყრილის ჯამური ფართობი იქნება დაახლოებით 30354 მ². ახალი რეზერვუარის GPS კოორდინატებია: X-536521, Y-4605906; X-536760, Y-4605771; X-536767, Y-4605749; X-536750, Y-4605719; X-536727, Y-4605712; X-536650, Y-4605756; X-536487, Y-4605847; X-536481, Y-4605869; X-536498, Y-4605900; X-536521; Y-4605906.

კაკლის ბაღის და რეზერვუარის განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფელი პალდო, დაშორებულია დაახლოებით 3.5-4 კმ-ით. ხოლო მდ. იორი ბაღის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ მანძილით, ხოლო უშუალოდ რეზერვუარების განთავსების ადგილიდან დაახლოებით - 2.6 კმ-ით. უახლოესი დაცული ტერიტორია - ყორულის აღკვეთილის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის უკიდურესი წერტილიდან დაშორებულია დაახლოებით 950 მეტრით, რეზერვუარების განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით - 2.6 კმ-ით, ხოლო წყალაღების

წერტილიდან დაახლოებით - 35 მეტრით. საპროექტო მიწის ნაკვეთებამდე მიდის უკვე არსებული გრუნტის გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად დამატებითი გზების მოწყობა/რეკონსტრუქცია საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის.

როგორც აღინიშნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ამჟამად წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია, ხოლო საფილტრაციო შენობისა და მდინარიდან წყალაღების ტუმბოების მოწყობა განხორციელდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო/მოწყობითი სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში.

რეზერვუარის პარამეტრებია: ზედაპირის სიგრძე - 311 მ, ძირის სიგრძე - 184 მ, ზედაპირის სიგანე - 71 მ, ძირის სიგანე - 44 მ, მაქსიმალური სიღრმე 6.5 მ, ზედაპირის ფართობი - 22081 მ². არსებული რეზერვუარის მსგავსად, წყლის შესაკავებელი ნაგებობა მოეწყობა მიწათხრილით და საიზოლაციო მიზნით გამოყენებული იქნება 1,5 მმ სისქის გეომემბრანა. არსებული 4000 მ³ და ახალი 99531.18 მ³ მოცულობის რეზერვუარების ჯამური მოცულობაა 103531.18 მ³. საპროექტო ნაგებობის წყლით მომარაგება გათვალისწინებულია, შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სამელიორაციო არხიდან (ქვემო სამგორის სამელიორაციო არხი) შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, ასევე მდინარე ივრიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატია: X- 536640; Y-4609014).

სამარაგო რეზერვუარების შევსება განხორციელდება საჭიროებისამებრ. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, როგორც სამელიორაციო არხიდან, ასევე მდინარიდან დაგეგმილია წლის განმავლობაში 1888638 მ³ წყლის აღება, საიდანაც აორთქლებით გამოწვეული 10%-იანი დანაკარგის (დაახლოებით 188863 მ³) გათვალისწინებით ბალის სარწყავად გამოყენებული იქნება წელიწადში 1699775 მ³ წყალი. წყალაღება განაწილებული იქნება შემდეგი პროპორციით: 50% სამელიორაციო არხიდან - 944319 მ³ და 50% მდ. ივრიდან - 944319 მ³. წლის განმავლობაში მდინარიდან წყლის აღება დაგეგმილია 8 თვის განმავლობაში (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი), ხოლო სამელიორაციო არხიდან 6 თვე (აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი). თითოეული თვის განმავლობაში ასაღები წყლის რაოდენობა მდინარიდან 212471 მ³-ს, ხოლო სამელიორაციო არხიდან 157386,5 მ³ იქნება. წყალაღება, არც მდინარიდან და არც სამელიორაციო არხიდან არ მოხდება წელიწადში 4 თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, ნოემბერი, დეკემბერი).

სამელიორაციო არხიდან არსებულ 4000 მ³ მოცულობის რეზერვუარამდე წყალი მიყვანილია 355 მმ დიამეტრის მქონე ლითონის მილით. სამელიორაციო არხიდან დაგეგმილ რეზერვუარებამდე წყალი ასევე მიყვანილი იქნება თვითდინებით, 355 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილებით. რაც შეეხება მდინარიდან წყალაღებას, მდინარის ნაპირზე, მიწის ზედაპირზე განთავსდება ბეტონის ფილა (პარამეტრები: სიგრძე 3 მ, სიგანე 2 მ, სიმაღლე 0,2 მ), რომელზეც ერთმანეთის გვერდიგვერდ მოეწყობა ორი იდენტური, მშრალი ტიპის, ტუმბო (სიმძლავრე - 135 კვტ, წარმადობა - 191.12 მ³/სთ). მდინარიდან წყლის ამოღება მოხდება შემწოვი მილებით, რომლებიც დაერთებული იქნება ტუმბოებზე. ტუმბოს მუშევრებით მდინარიდან ამოღებული წყალი, დაახლოებით 4.9 კმ სიგრძის მაგისტრალური მილით (დიამეტრი 315 მმ) შეგროვდება სამარაგო რეზერვუარში. მილსადენის დერეფანი გაივლის სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გრუნტის გზის გაყოლებაზე, დერეფანი არ გადაკვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყლის სამარაგო რეზერვუართან დაგეგმილია საფილტრაციო შენობის მოწყობა, რომელიც ალჭურვილი იქნება შესაბამისი ტუმბოებით, სასუქების შემრევი სისტემითა და ქვიშის

ავტომატური ფილტრებით. საპროექტო რეზერვუარიდან წყალი მიღების საშუალებით მოხდება საფილტრაციო სისტემაში, საიდანაც ორი 45 კვტ სიმძლავრის ტუმბოს მეშვეობით გადაიტუმბება სასუქების შემრევ სისტემაში. აღნიშნულ სისტემაზე დაერთდება წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რაც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას ნარგავებამდე. ბაღის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვა განხორციელდება 16 მმ დიამეტრის პლასტმასის მილებით, წვეთოვანი სარწყავი სისტემა აღჭურვილი იქნება კომპენსირებადი საწვეთურებით. თითო საწვეთურიდან წყლის დაღვრის მახასიათებელია 2 ლ/სთ. ბაღი დაყოფილი იქნება 5 სარწყავ სექტორად. თითოეული სექტორის მორწყვა მოხდება ყოველდღიურად 4 საათის განმავლობაში. 5 სექტორის შემთხვევაში დღის განმავლობაში მორწყვა მოხდება 20 საათის განმავლობაში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, რეზერვუარზე მოეწყობა წყლის შემავალი და გამომავალი მილები. როგორც მდინარიდან, ისე არხიდან შემომსვლელ მილებზე დაყენდება წვრილფრაქციული ცხაური, რაც ხელს შეუშლის რეზერვუარში დიდი რაოდენობით შლამის დაგროვებას. რეზერვუარის დაცლა გათვალისწინებულია დაახლოებით 3 წელიწადში ერთხელ. დაცლა მოხდება კაკლის ბაღებში წყლის სრულად გაშვებით. რეზერვუარი დაყოვნდება რამდენიმე დღე მის ამოშრობამდე, ხოლო შემდეგ გასუფთავდება დაგროვილი ლამისგან. რეზერვუარის ავარიული დაცლისთვის, ასევე გათვალისწინებულია გადამღვრელი მილსადენის მოწყობა, რომელიც ავარიული რისკის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს წყლის გაშვებას კაკლის ბაღების ტერიტორიაზე.

არსებული ტუმბოების ელექტროენერგიით მომარაგება მოხდება ბაღის ტერიტორიაზე არსებული 10 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზით, ხოლო ელექტროენერგიის ავარიული ან/და გეგმური გათიშვის შემთხვევაში სამარაგო გენერატორით.

ანგარიშის თანახმად, რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების პირველ ეტაპზე განხორციელდა ტერიტორიაზე 2081 მ³ მოცულობის ნაყოფიერი ფენის მოხსნა (სიმძლავრით 0.10 მ), რომელიც გადატანილ იქნა არსებული კაკლის ბაღების ტერიტორიაზე, მიწის დამატებითი განოყიერების მიზნით. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ მოხდა დაახლოებით 97450.18 მ³ მოცულობის გრუნტის ამოღება, რომელიც განთავსებულია კომპანიის ტერიტორიაზე რეზერვუარის გარშემო უკუყრილის სახით. დაახლოებით 4.9 კმ მაგისტრალური მილის გაყვანისათვის ამოღებული მიწა გამოყენებული იქნება თხრილების შესავსებად. მაგისტრალის თხრილის პარამეტრებია: სიგანე 60 სმ, სიღრმე 1 მ, სიგრძე 4.9 კმ. უშუალოდ წვეთოვანი სარწყავი სისტემა დაერთდება პოლიეთილენის მილებთან და განთავსდება მიწის ზედაპირზე, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა გათვალისწინებული არ არის. საფილტრაციო შენობის მოსაწყობად მოხდება 37.5 მ³ მოცულობის ნაყოფიერი ფენის და დაახლოებით 20 მ³ მოცულობის გრუნტის მოხსნა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მდინარის კალაპოტის სიახლოვეს ტუმბოების და შემწოვი მილების მოწყობისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წყლის სიმღვრივის მატებას, თუმცა მოწყობითი სამუშაოები განხორციელდება დროის მცირე მონაკვეთში, შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე ზედაპირულ წყალზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, ამასთან, ობიექტის ფუნქციონირებით ჩამდინარე წყლების ჩაშვებას ადგილი არ ექნება. დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ივრის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. მდ. ივრის სიგრძეა 320 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 4650 კმ². საპროექტო კვეთში მდინარე ივრის წყლის 100 წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 1193 მ³/წმ-ს, კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმეა - 4,4 მ. როგორც უკვე აღინიშნა, მდინარე ივრიდან წყალაღება მოხდება 8 თვის განმავლობაში (თვეში - 118039,8 მ³), სულ 944319

მ³/წელ. დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით მდ. ივრიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დოკუმენტაციის თანახმად, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ობიექტის სასმელი წყლით წყალმომარაგება გათვალისწინებულია ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო წყალი შემოტანილი იქნება კონტეინერით. მშენებლობის ეტაპზე ტერიტორიაზე განთავსდება მობილური ბიოტუალეტი, რომლის დაცლაც მოხდება პერიოდულად. ექსპლუატაციის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის შესაძლებელია მოეწყოს საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა მოხდება შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ, საასენიზაციო მანქანის გამოყენებით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის, ასევე უახლოესი დასახლებულ პუნქტამდე მანძილის (დაახლოებით 3.5-4 კმ) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერზე ზემოქმედება ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაანგარიშების შედეგების თანახმად, ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობით (ანუ ყველაზე უარესი სცენარი) გამოწვეული ხმაურის ჯამური დონე საპროექტო ტერიტორიაზე შეადგენს 84,914 დბა-ს, ხოლო უახლოეს დასახლებულ პუნქტის დაცილების მანძილიდან გამომდინარე, ხმაურის დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციისას, სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია დაახლოებით 3 ტ პოლიეთილენის მილების ნარჩენის წარმოქმნა, რომელიც შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები დროებით განთავსდება ტერიტორიაზე მოწყობილ სეპარირებულ კონტეინერებში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე გატანილ იქნება შესაბამის ნაგავსაყრელზე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენურად დატვირთულია და არ წარმოადგენს ფაუნისთვის მნიშვნელოვან ჰაბიტატს. თუმცა, დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორიის მიმდებარედ შესაძლოა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობის - წავის (*Lutra lutra*) არსებობა. ამასთან, მდ. იორი წარმოადგენს წავის გავრცელების პოტენციურ ჰაბიტატს. პროექტის განხორციელების ეტაპზე, ტუმბოების და მილების მოწყობის პროცესში, მდინარის სანაპიროს სიახლოვეს ჩასატარებელი სამუშაოების დროს სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წყლის ბიომრავალფეროვნებაზე დროებით ზემოქმედებას. ხოლო რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, მდინარის ჰიდროლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, დაგეგმილი მაქსიმალური წყალაღება არ მოახდენს იქთიოფაუნის საბინადრო არეალზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. ამასთან, ტუმბოსთან დამაკავშირებელ შემწოვ მილზე გათვალისწინებულია დამცავი ცხაურის მოწყობა. რაც შეეხება მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას, რეზერვუარის განთავსების ტერიტორია თავისუფალი იყო ხე-მცენარეული საფარისაგან, ხოლო მილსადენის დერეფანი გაივლის არსებული გრუნტის გზის გაყოლებაზე.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიასთან უახლოესი დაცული ტერიტორია - ყორულის აღკვეთილი, კაკლის ბაღების მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 950 მეტრით, ახალი წყლის სამარაგო რეზერვუარიდან დაახლოებით - 2.6 კმ-ით, ხოლო წყალაღების წერტილიდან დაახლოებით - 35 მეტრით. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით მიზანშეწონილია საქმიანობის განხორციელება დაცულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის პირობებში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA Iori Region-GE011). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევის ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, ფრინველების საბუდარი ადგილები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი ტიპის წყლის სამარაგო რეზერვუარების მოწყობის სამუშაოები არ მიმდინარეობს, შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა კომპანიის წყლის სამარაგო რეზერვუარები, რომლებიც წყალაღებას შპს „საქართველოს მელიორაციის“ არხიდან ახორციელებენ. დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ნექსარა“ ყოველწლიურად უზრუნველყოფს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ წყალაღების შეთანხმებას, სადაც გათვალისწინებულია სამელიორაციო არხიდან კუმულაციური წყალმომხმარებლების საკითხი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მდ. იორზე სხვა წყალმომხმარებლების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 23 ოქტომბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ნექსარას“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტისა და II დანართის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. საგარეჯოში, შპს „ნექსარას“ სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ნექსარამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედებისა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან, საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, ასევე სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. შპს „ნექსარამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც აისახება ბიოლოგიურ გარემოზე (მათ შორის ფრინველებზე) დაკვირვების და სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. მონიტორინგის გეგმაში ასევე უნდა აისახოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ფრინველებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის საკითხი. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ასევე მდ. იორში წარმოდგენილ წავსა და საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ წითელი ნუსხით დაცულ სხვა სახეობებზე;
5. შპს „ნექსარამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ფერდის ზედაპირიდან ჩამოსული ჭარბი ატმოსფერული ნალექების დამბის ფერდის ძირიდან გეგმაზომიერად გაყვანის და ფერდის მდგრადობის შენარჩუნების, ასევე გეომემბრანის დაზიანების შემთხვევაში ფილტრაციული ნაკადის აღმოჩენის მიზნით, გათვალისწინებული დამატებითი დამცავი ღონისძიებების (მაგ: პერიმეტრული თხრილის სახით ან/და სხვა) შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
6. შპს „ნექსარამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე დაკვირვების კონტროლი წელიწადში ორჯერ, ხოლო შედეგების სააგენტოში წელიწადში ერთხელ წარმოდგენა;
7. შპს „ნექსარამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება;
8. შპს „ნექსარამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სარწყავი არხიდან წყლის აღება უზრუნველყოს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმებით;
9. შპს „ნექსარამ“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესრულება;
10. შპს „ნექსარამ“ უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

11. შპს „ნექსარამ“ სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;
12. შპს „ნექსარამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნექსარას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნექსარას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

